


საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მოკლე მიმოხილვა

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი **12 440 998.0** ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო გადასახდელების - **12 459 500.0** ათასი ლარით.

შემოსავლები




2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი **10 215 000.0** ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 725 500.0 ათასი ლარით აღემატება.

2016 წლის ფაქტი 2017 წლის გეგმა 2018 წლის პროექტი


საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვრა **9 490 000.0** ათასი ლარით.

გადასახადები




კატეგორია	იმპორტის გადასახადი	სხვა გადასახადები	მოგების გადასახადი	აქციზი	საშემოსავლო გადასახადი	დამატებული ღირებულების გადასახადი
■	60,000.0	170,000.0	630,000.0	1,450,000.0	2,780,000.0	4,400,000.0

ხარჯები




სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია **12,459.5** მლნ ლარის ოდენობით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 30.7%-ს შეადგენს. მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 11,058.5 მლნ ლარს, გრანტები 164.2 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები 1,236.8 მლნ ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **9,720.9** მლნ ლარით.




დასახელება	2016 ფაქტი	2017 მოსალოდნელი	2018 პროგნოზი
მშპ-ს რეალური ზრდა (ზრდის ტემპი)	2,8%	4,5%	4,5%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	34 028,5	37 515,5	40 575,8
საშუალო წლიური ინფლაცია	2,1%	5,5%	3,5%
ინფლაცია წლის ბოლოსთვის	1,8%	5,5%	3,0%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	44,4%	42,9%	43,1%

2018 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი 4.5%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3.5%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5.0%-6.0%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3.0%-ის ფარგლებში.

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 12 006.8 მილიონ ლარს, ხოლო საშინაო ვალის ნაშთი - 2 764.0 მილიონ ლარს. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1 236.7 მლნ ლარის ოდენობით და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მიღებას 350.0 მლნ ლარის ოდენობით.



ღია ბიუჯეტის კვლევა (The Open Budget Survey) 2015



გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ (Open Budget Survey 2015) შედეგებით, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითაც გაიუმჯობესა პოზიციები და მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნების რიგებს შორის.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებები



ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3 528.0 მლნ ლარი.

- ✓ მ.შ. სოციალური პროგრამები - 2 465.9 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები - 983.6 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - 704.0 მლნ ლარი.



განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება - 1 186.2 მლნ ლარი.

- ✓ მ.შ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - 598.9 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება - 71.0 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 65.6 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - 22.9 მლნ ლარი.



რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა - 1 181.5 მლნ ლარი.

- ✓ მ.შ. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - 1 310.8 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - 196.0 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 288.5 მლნ ლარი.



გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო - 274.8 მლნ ლარი.

- ✓ მ.შ. სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია - 50.0 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. შეღავათიანი აგროკრედიტები - 45.0 მლნ ლარი;
- ✓ სურსათის უვნებლობა და მცენარეთა დაცვა - 35.9 მლნ ლარი;
- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობა - 10.9 მლნ ლარი;
- ✓ დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება - 14.6 მლნ ლარი.

2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

- ✓ <http://mof.ge/>
- ✓ http://mof.ge/sakartvelos_2018_wlis_saxelmwifo_biujeti
- ✓ http://mof.ge/mokalakis_gzamkvlevi



საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი